



**სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტი**

**ცვლილებები დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს
2017 წლის 15 დეკემბრის ოქმი #21 გადაწყვეტილებით**

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი:

რეგულირების სფერო:

სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (შემდეგში: ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი) ადგენს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წესს.

ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი ვრცელდება ნებისმიერ პირზე, რომელიც იყენებს ბიბლიოთეკას სასწავლო-სამეცნიერო თუ საინფორმაციო დანიშნულებით ან/და ფიზიკურად იმყოფება ბიბლიოთეკაში.

მიზნები:

სასწავლო-სამეცნიერო ბიბლიოთეკა არის უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც ახორციელებს უახლესი ლიტერატურით და

სახელმძღვანელოებით სასწავლო პროგრამის უზრუნველყოფას, ქმნის შესაფერის პირობებს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის რათა მათ წარმატებით და ნაყოფიერად შეძლონ პროგრამით გათვალისწინებული მასალის ათვისება და სამეცნიერო კვლევების ჩატარება.

1. მკითხველი ვალდებულია

ა. დაიცვას წესრიგი და სისუფთავე;

ბ. არ ისაუბროს ან/და არ მიმართოს სხვა ისეთ ფორმას, რომელიც ხელს შეუშლის სხვა მკითხველს;

გ. არ დააზიანოს წიგნები და ბიბლიოთეკის ინვენტარი;

დ. წიგნზე თუ სხვა მასალაზე რაიმე ნაკლის, დაზიანების, ან წუნის აღმოჩენისას დაუყოვნებლივ აცნობოს ბიბლიოთეკის ადმინისტრაციას.

ბიბლიოთეკის ადმინისტრაციას უფლება აქვს წესრიგის დამრღვევ პირს მისცეს გაფრთხილება ხოლო გაფრთხილების არაეფექტურობისას მიმართოს წესრიგის დაცვის სხვა დაშვებულ ზომებს.

ა. ბიბლიოთეკის წევრი ვალდებულია დააბრუნოს დავალიანება 14 დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში არ გაიცემა მასზე სხვა წიგნი;

ბ. მკითხველის მიერ დაკარგული წიგნის სანაცვლოდ დაწესდეს სანქცია, რომელიც გამოიხატრება ჩვენთვის საჭირო წიგნის შეცვლით.

გ. კურსდამთავრებულთათვის აკრძალული იყოს დიპლომის გაცემა ბიბლიოთეკის თანამშრომლის მიერ გაცემული შემოვლის ფურცლის (დავალიანების არქონა) გარეშე.

ნივთებით სარგებლობა:

ბიბლიოთეკაში აკრძალულია მკითხველის მიერ:

1. საკვების, ფერადი სითხის შეტანა ან/და მოხმარება;

2. თამბაქოს მოწევა;
3. ტელეფონით საუბარი;
4. აალებადი მასალის შეტანა გამოყენება;

ბიბლიოთეკაში დაშვებულია მკითხველის მიერ:

1. რვეულის, ფურცლების, საწერი საშუალების შეტანა;
2. პერსონალური კომპიუტერის შეტანა და გამოყენება;
3. წყლის, მათ შორის, წყაროს წყლისა და მინერალური წყლის შეტანა და მოხმარება;

ასლის გადაღება:

1. დაშვებულია ბიბლიოთეკაში არსებული წიგნებისა და ჟურნალებიდან მოპოვებული მასალების ასლის გადაღება;
2. დაუშვებელია დიპლომებისა და დისერტაციების ასლის გადაღება;

წიგნების გატანა:

1. დაუშვებელია ბიბლიოთეკიდან წიგნების გატანა გაუფორმებლად;
2. დაუშვებელია დარბაზიდან გაიცეს დიპლომები და დისერტაციები;
3. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ურთიერთობა აქვს ტელევიზიებთან, თეატრებთან და სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან;
4. უცხო პირთათვის წიგნები გაიცეს მხოლოდ ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტით (ბ.შ.ა) ან ოფიციალური მომართვის საფუძველზე.

მომსახურების ფორმა

ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს ორი სახის აბონიმენტი, პროფესორ-მასწავლებლებისთვის და სასწავლო-სტუდენტებისათვის, გვაქვს კეთილმოწყობილი სამკითხველო დარბაზი, რომლებიც აღჭურვილია საჭირო ლიტერატურითა და კომპიუტერებით. მკითხველებს ემსახურება ხუთი სახის კატალოგი:

1. ალფაბეტური
2. სისტემური
3. საგნობრივი (21 თემატიკა)
4. საცნობარო-ბიბლიოგრაფიული
5. ელექტრონული

გასაჩივრების უფლება

პირს რომელსაც არ მიეცა ან/და შეეზღუდა ბიბლიოთეკით სარგებლობა უფლება აქვს გაასაჩივროს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან.

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ძალაშია დამტკიცებისთანავე.